ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ორგანოებისა და მის მიერ დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირების ანგარიშების საბანკო მომსახურების მიღების მიზნით გამოცხადებული კონკურსის ჩატარების წესი და პირობები

ა/. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის სადეპოზიტო ანგარიშზე განსათავსებელი საშუალო დღიური თავისუფალი ნაშთის **სავარაუდო, საორიენტაციო** მინიმალური ოდენობა შეადგენს 6 000 000 (ექვსი მილიონი) ლარს.

ბ/. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტისა და მის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების სადეპოზიტო ანგარიშებზე განთავსებულ საბიუჯეტო სახსრებზე სარგებლის წლიური საპროცენტო განაკვეთი განისაზღვროს არანაკლებ წლიური 14,7 % -ისა (სარგებელის ყოველდღიური დარიცხვა) ანგარიშზე ყოველი კალენდარული დღის ბოლოს არსებული ნაშთების შესაბამისად.

გ/. კონკურსში გამარჯვებული ბანკი ვალდებულია 500 000 (ხუთასიათასი) ლარი (საკუთარი სახსრები) დახარჯოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის მოთხოვნის შესაბამისად. აღნიშნული თანხის დახარჯვა უნდა განხორციელდეს, მხოლოდ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიასთან წინასწარი წერილობითი შეთანხმებითა და მითითებით, რომლის უფლებაც ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიას წარმოეშვება ხელშეკრულების გაფორმების დღიდან, ხოლო მოწოდების ვადა განისაზღვრება ურთიერთშეთანხმების შესაბამისად.

დ/. კონკურსში გამარჯვებული ბანკი ვადებულია საკუთარი სახსრებით შეიძინოს და მუნიციპალიტეტს საკუთრებაში გადასცეს ერთი ერთეული M3 კატეგორიის სატრანსპორტო საშუალება, რომელიც უნდა იყოს საქალაქთაშორისო ავტობუსი (არანაკლებ 2020 წლის გამოშვების, ავტობუსი უნდა იყოს ახალი, ექსპლუატაციაში არმყოფი, ტევადობა არანაკლებ 35 ადგილისა საწვავის ტიპი დიზელი, საჭე მარცხნივ, განბაჟებული, ემისიის სტანდარტი არანაკლებ ევრო 5, ავტობუსი აღჭურვილ უნდა იქნას გათბობა/გაგრილების სისტემით. გაფორმებასთან დაკავშირებული ხარჯები უნდა აანაზღაუროს ბანკმა). სანაცვლოდ, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია ხელშეკრულების გაფორმებიდან 5 წლის ვადაში, ბანკს უფლებას რთავს ავტობუსზე უსასყიდლოდ განათავსოს საკუთარი რეკლამა, ასევე საკალათბურთო კლუბი ,,ქუთაისი 2010" -ის კალათბურთელების მაისურზე დაიტანოს საკუთარი ბანკის ლოგო, აგრეთვე ქალაქ ქუთაისში გამართულ საკალათბურთო მატჩების მიმდინარეობისას, დარბაზში, მათ შორის სპორტული მოედნის ირგვლივ განათავსოს საკუთარი ბანკის რეკლამა.

ე/. ამასთანავე, გამარჯვებული ბანკი ვალდებულია საკუთარი რესურსით უზრუნველყოს მუნიციპალური ტრანსპორტის მგზავრობის დაგეგმარების ელექტრონული სისტემისა და გადაადგილების ციფრული რუკის შექმნა და რეალურ დროში (Live რეჟიმში) ფუნქციონირება, რაც განთავსებული უნდა იყოს შესაბამის ვებ-გვერდსა და აპლიკაციაში (რომლის შექმნაც უნდა უზუნველყოს კონკურსში გამარჯვებულმა ბანკმა). M3 კატეგორიის სატრანსპორტო საშუალებებში

სვლა-გეზისა და გაჩერების წერტილების შესახებ ინფორმაციის მიღება მგზავრებისათვის შესაძლებელი უნდა იყოს ხმოვანი და ვიზუალური სახით (როგორც არსებულ, აგრეთვე ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შეძენილ M3 კატეგორიის სატრანსპორტო საშუალებებში).

ვ/. კონკურსში გამარჯვებული ბანკი ვალდებულია, ხელშეკრულების გაფორმების დღიდან 2031 წლის 01 სექტემბრამდე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ ნებისმიერი რაოდენობით შეძენილ, საკუთრებაში ან სარგებლობაში გადაცემულ M2 და M3 კატეგორიის სატრანსპორტო საშუალებებში, საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს ელექტრონული საგადახდო სისტემის სრული ინსტალაცია - **თითოეულ M3 კატეგორიის სატრანსპორტო საშუალებაში არანაკლებ 2 (ორი) ერთეული გადახდის აპარატის (ვალიდატორის), ხოლო M2 კატეგორიის სატრანსპორტო საშუალებაში არანაკლებ 1 (ერთი) ერთეული გადახდის აპარატის (ვალიდატორის) მოწყობა.** აღნიშნული ვალდებულება მოიცავს როგორც საჭირო ტექნიკური მოწყობილობების (ვალიდატორები, სამონტაჟო აქსესუარები და სხვა) მიწოდება-მონტაჟს, ისე შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის გამართვას. ბანკი ვალდებულია საკუთარი სახსრებით განახორციელოს აღნიშნული სისტემების ტექნიკური მხარდაჭერა, განახლება და გამართული ექსპლუატაცია (მოვლა-პატრონობა) ხელშეკრულების მოქმედების სრულ პერიოდში, მუნიციპალიტეტისათვის რაიმე სახის დამატებითი საფასურის ან ხარჯის დაკისრების გარეშე, მუნიციპალიტეტის წერილობითი შეტყობინებიდან არაუგვიანეს **15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის** ვადაში. აგრეთვე კონკურსში გამარჯვებულმა ბანკმა უნდა უზრუნველყოს, როგორც გაჩერებებზე უკვე დამონტაჟებული (108 ერთეული), აგრეთვე ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მიერ შეძენილ ელ. ტაბლოების ინსტალაცია/ექსპლუატაცია ხელშეკრულების მოქმედების სრულ პერიოდში.

ზ/. კონკურსში გამარჯვებული ბანკი ვალდებულია, დღეის მდგომარეობით ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის საკუთრებაში არსებული M2 (10 ერთეული) და M3 (62 ერთეული) კატეგორიის სატრანსპორტო საშუალებებში მოქმედი გადახდის აპარატების (ვალიდატორების) დაზიანების შემთხვევაში საკუთარი სახსრებით უზრუნველყოს მათი ახლით ჩანაცვლება და ექსპლუატაცია, წერილობითი მოთხოვნიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში.

თ/. კონკურსში გამარჯვებული ბანკი ვალდებულია, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 28 აპრილის N177 დადგენილებით განსაზღვრულ პირებისათვის (გარდა სტუდენტებისა და სკოლის მოსწავლეებისა) სამგზავრო ბარათების დაამზადება/აღდგენა უზრუნველყოს უსასყიდლოდ.

ი. მუნიციპალიტეტი იღებს ვალდებულებას, ხელი შეუწყოს მისი და მის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების თანამშრომლებმა ისარგებლონ კონკურსში გამარჯვებული ბანკის მომსახურებით.

კ/. ბანკმა უნდა უზრუნველყოს ყველა საბიუჯეტო ტრანზაქციის საკომისიოს გარეშე მომსახურეობა, მუნიციპალიტეტისა და მის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების თანამშრომლებისათვის სახელფასო პლასტიკური ბარათების უფასოდ დამზადება, მათი სახელფასო ბარათებიდან თანხის განაღდება საკომისიოს გარეშე და აგრეთვე სმს მომსახურება უფასოდ.

ლ/. კონკურსში მონაწილეობის მიღების მიზნით, საკონკურსო განაცხადები წარმოდგენილი უნდა იყოს უფლებამოსილი პირების მიერ. განაცხადს უნდა ახლდეს წარმომადგენელი პირის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი და იდენტიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი.

მ/. საკონკურსო განაცხადს (რომელიც უნდა მოიცავდეს ნაშთზე დასარიცხი საპროცენტო სარგებლის ოდენობას და მუნიციპალურ ტრანსპორტში გადახდის სისტემის მოწყობის ვადას) კონკურსანტები წარუდგენენ საკონკურსო კომისიას კონკურსის დაწყებისთანავე დახურული კონვერტის სახით. კომისია, კონკურსში მონაწილე პირების თანდასწრებით იწყებს კონვერტების გახსნის პროცედურას.

ნ/. კონვერტების გახსნის შემდეგ, დაიწყება ღია ვაჭრობა მინიმუმ 0,10 % -იანი ბიჯით, რომლის დროსაც წარმომადგენელი პირები წარმოადგენენ ახალ წინადადებებს. გამარჯვებულის გამოვლენა მოხდება ყველაზე მაღალი საპროცენტო სარგებლის შემოთავაზების მიხედვით.

ო/. აღნიშნული საკონკურსო პირობების ბ); ი) და კ) პუნქტებით განსაზღვრული მომსახურების ვადის ათვლა დაიწყება 2026 წლის 1 სექტემბრიდან და გაგრძელდება 5 წლის განმავლობაში, ხოლო გ); დ); ე); ვ) და ზ) პუნქტებით განსაზღვრული მომსახურების ვადის ათვლა დაიწყება ხელშეკრულების დადების დღიდან. ხელშეკრულება დაიდება კონკურსის დასრულებიდან არაუგვიანეს 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში.

პ/. დეპოზიტზე განთავსებულ თანხაზე დასარიცხი საპროცენტო განაკვეთის ცვლილება არ უნდა განხორციელდეს ცალმხრივად ბანკის მიერ, ფორსმაჟორული სიტუაციის შემთხვევაში ცვლილება განხილულ უნდა იქნას მუნიციპალიტეტთან ერთად.

ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი: დავით ერემეიშვილი